

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მარაგები

მზა პროდუქცია

სხვა

სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

სულ აქტივები

12/31/2024 12/31/2023 12/31/2022

37191 13206 54322

1171708 47558 456

1236882 2327508 3270065

1203802 2293914 3206166

33080 33594 63899

10049 68604 75596

8161 28 69

728713 854603 1071020

3192704 3311507 4471528

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

89274 173439 126450

ანარიცხები

916 969 236

ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ

2561 0 0

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

158675 765411 1933439

სხვა ვალდებულებები

1970824 2898397 2905848

სულ ვალდებულებები

2222250 3838216 4965973

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატი;

6100 6100 6100

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

964354 -532809 -500545

სულ საკუთარი კაპიტალი

970454 -526709 -494445

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

3192704 3311507 4471528

სულ მოკლევადიანი აქტივები

2455830 2456876 3400439

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

2222250 3838216 4965973



ს. ლომიძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	12/31/2024	12/31/2023
ნეტო ამონაგები	17998043	12630575
საქონლის გაყიდვიდან	17998043	12569650
მომსახურების გაწევიდან	0	60925
გაყიდვების თვითღირებულება	-15070270	-11468730
საწყისი მარაგები	2327508	3270065
მარაგების შესყიდვა	13979644	10526173
საბოლოო მარაგები	-1236882	-2327508
საერთო მოგება	2927773	1161845
სხვა საოპერაციო შემოსავალი	145144	221757
დასაქმებულთა ანაზღაურება	-231072	-226933
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-184049	-298061
საპროცენტო შემოსავალი	2846	2183
საპროცენტო ხარჯი	-158256	-155319
ტრანსპორტირების ხარჯი	-518494	-365990
კონვერტაციის ხარჯი	-19704	-32432
საგადასახადო ხარჯი	-11720	-13368
სადაზღვევო ხარჯი	-4689	-7862
საკონსულტაციო ხარჯი	-7000	-12000
საბანკო ხარჯი	-37925	-25712
გადაფასების ხარჯი	-222892	-195729
დანაკლისის თანხა	-127701	0
სხვა ხარჯები	-53156	-84643
საოპერაციო მოგება	1499105	-32264
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობი	1499105	-32264
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1499105	-32264
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1499105	-32264
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-526709	-494445
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	-1942	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	970454	-526709



ბ. ლომიძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია :

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნათს ელი“-ს (შემდგომში საზოგადოება/საწარმო) იურიდიული მისამართია - საქართველო , სენაკი , შავი ზღვის ქუჩა 15 . ფაქტიური მისამართია - სენაკი , მშვიდობის ქუჩა 96.

საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელია ზაზა ლორჩოშვილი, რომელიც ასევე არის დირექტორი.

საზოგადოება რეგისტრირებულია 2011 წლის 23 თებერვალს , დღგ-ს გადამხდელია 2011 წლის 9 მარტიდან .

საწარმოს სხვადასხვა სახის ქონება (მიწა ,შენობა-ნაგებობები ,მანქანა-დანადგარები და სხვა) გააჩნია სენაკსა და ხობში.

საზოგადოების მიმდინარე საქმიანობა სეზონურია . მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე ფიზიკური და იურიდიული პირებიდან გაურჩეველი თხილისა და გადასამუშავებელი თხილის გულის შეძენა , რომელთა გადამუშავების შემდგომ წარმოებს მიღებული პროდუქტების /თხილის გული ,თხილის ფქვილი ,ნაჭუჭი/რეალიზაცია როგორც საზღვარგარეთ (ექსპორტი) , ასევე ქვეყნის შიგნით .

საწარმოს 2024 წელს ძირითადად დასაქმებული ყავდა 28 თანამშრომელი . საჭიროებისამებრ პერიოდულად / სეზონურად / , წარმოებს გარეშე ფიზიკური პირების დაქირავება მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

საწარმოს საბუღალტრო მომსახურებას 2024 წლის შვიდი თვის მანძილზე უწევდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯია გლობალ აუდიტი “ .

2. ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები :

საზოგადოება ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ანგარიშგებაში თანხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ლარებში.

საწარმო თავის ფინანსურ ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. თანდართული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება საზოგადოების საბუღალტრო ჩანაწერებს.

2.1. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

2.2. რეალიზაციის ასახვა.

რეალიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ და მისაღებ თანხებს დამატებული ღირებულების გამოკლებით. ექსპორტზე გატანილი პროდუქციის ღირებულება ნაანგარიშებია საბაჟო დეკლარაციების მიხედვით, იმ დროისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

რეალიზაციის თანხების ასახვა წლის ბოლოს წარმოებს მოგება-ზარალის #5330 საბალანსო ანგარიშზე. რეალიზაციის მიკუთვნება შესაბამისად წარმოებს იმ პერიოდზე, როდესაც მოხდა მისი გამომუშავება თანახმად რეალიზაციის პრინციპით.

მუხლობრივად ყველაზე დიდი შემოსავალი მიღებულია ექსპორტიდან / მზა პროდუქციის რეალიზაციიდან / და შეადგენს 17 822 831 ლარს, რაც წარმოადგენს ძირითადი შემოსავლის 99 %-ს.

2.3. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.

საზოგადოების მიერ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვა წარმოებს შეძენისა და დაგროვილი ამორტიზაციას შორის სხვაობის თანხით.

ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვაზე და რემონტზე გაწეული ის დანახარჯები, რომელიც არცვლის მათი ღირებულებას მიეკუთვნება საოპერაციო დანახარჯებს. ხოლო, ის დანახარჯები რომელიც გაიწევა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციაზე, განახლებაზე და გადაიარაღებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის მათ ღირებულებას.

საწარმოს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ერიცხება 728 713 ლარის ძირითადი საშუალებები ნარჩენი ღირებულებით. საიდანაც, სხვადასხვა მიწის ნაკვეთი არის 116 000 ლარის, შენობა-ნაგებობები 306 704 ლარის, მანქანა-დანადგარები 284 007 ლარის და სხვა.

2024 წელს შეძენილი იქნა 8 134 ლარის სათანადო სერტიფიკატი, რომელიც მიკუთვნებულია არამატერიალურ აქტივებს. აღნიშნულის გათვალისწინებით საწარმოს 31 დეკემბრისთვის ერიცხება 8 161 ლარის არამატერიალური აქტივი.

2.4. სასაქონლო - მატერიალური მარაგების აღრიცხვა და ჩამოწერა.

საწარმოს მიერ სასაქონლო - მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მისი თვითღირებულებით. რაც მოიცავს ნასყიდობის ფასს , დაუბრუნებად გადასახადებს , ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

შემენილი ნედლეულის გადამუშავებისას მიიღება სხვადასხვა სახის მზა პროდუქცია (თხილის გული , თხილის ფქვილი , ნაჭუჭი და სხვა), რაზედაც შედგენილია სათანადო გადამუშავების აქტები.

რეალიზებული პროდუქციის/ გახარჯული სასაქონლო - მატერიალური მარაგების ჩამოწერა წარმოებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

საწარმოს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ერიცხება 1 236 882 ლარის სასაქონლო - მატერიალური მარაგები . აქედან , მზა პროდუქციის სახით გაჩნია 1 165 044 ლარის , ნედლეულის სახით 38 759 ლარის მარაგები . მზა პროდუქციის 80 %-ზე მეტი წარმოადგენს საექსპორტოდ გასატან პროდუქციას. დანარჩენი მარაგები , ნედლეულთან ერთად გადამუშავდება და მიიღება ახალი მზა პროდუქცია .

2.5. სალარო და საბანკო ოპერაციების აღრიცხვა

სალარო და საბანკო ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს სრულად და დროულად არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. საზოგადოებას გააჩნია ლარის და სავალუტო სალაროები. შემოსული ვალუტის კონვერტაციის შემდგომ მიღებული ეროვნული ვალუტის გადატანა წარმოებს ლარის სალაროში. საზოგადოებას აქვს 1 ცალი სალარო აპარატი.

საზოგადოებას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები სს „პროკრედიტბანკში“ , როგორც სალარე ისე სავალუტო ანგარიშები (აშშ დოლარში და ევროში).

2.6. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა

საზოგადოების მიერ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა წარმოებს სრულად და დროულად არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

რიგ შემთხვევებში დავალიანების მქონე საზოგადოებებთან წარმოებს სხვადასხვა გზით (სატელეფონო კომუნიკაციები , ელექტრონული მიმოწერა და სხვა) ურთიერთშედარებები.

2.7. ვალდებულებების, სასესხო ოპრაციებისა და კურსთა შორის სხვაობის აღრიცხვა

2024 წელს საზოგადოებას სს „პროგრედიტბანკი“-დან აღებული აქვს სალარე და სავალუტო სესხი. გახსნილი საკრედიტო ხაზიდან გრაფიკის თანახმად მიღებული სავალუტო თანხების კონვერსია წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, რაც მიემართება საწარმოს შემდგომი საქმიანობისათვის.

აღნიშნული საბანკო სესხი ასახულია ვალდებულებების განყოფილებაში და 2024 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 765 411 ლარს .მ.შ. 532 940 ლარი (198 163 დოლარი) სავალუტო სესხია და დანარჩენი თანხა 232 471 ლარი სალარე სესხია .

2024 წელს სავალუტო საკრედიტო ხაზიდან დამატებით გაცემულ იქნა 1 222 500 დოლარის სესხი , რაც არსებულ 198 163 დოლართან ერთად სრულად დაფარული იქნა .

ამავე პერიოდში , აღებული იქნა სხვა სავალუტო სესხი 1 396 000 დოლარის ოდენობით , რაც ასევე სრულად იქნა დაფარული .

სალარე სესხიდან , 232 471 ლარიდან დაფარული იქნა 111 043 ლარი და დარჩენილია 121 428 ლარი .

საწარმოს მხრიდან , დამატებით აღებული იქნა 39 000 ლარის ახალი სესხი . გადახდილი იქნა 1 752 ლარი .დარჩენილია 37 247 ლარი .

ამრიგად , 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შპს „ნათს ელს“ სავალუტო სესხი მთლიანად დაფარული აქვს. ხოლო ლარში სესხად სულ ერიცხება 158 675 (121 428+37 247) ლარი.

ბანკის მიერ გაცემულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯების ჩამოწერა წარმოებს მოგება-ზარალის ანგარიშზე.

სავალუტო ანგარიშზე თანხების მოძრაობისა და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გამო წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშზე.

2.8. სხვადასხვა

საწარმოს 2024 წლის დეკემბერში ექსპორტისას , ერთ შემთხვევაში დააკლეს წონაში 6 170 კგ. თხილის გული 127 701 ლარის (44 424 დოლარი). მცდელობების მიუხედავად ბრალეული პირის დადგენა ვერ მოხერხდა . აღნიშნული მიეკუთვნა დანაკლისის თანხას .

„სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში“ - მითითებული 1942 ლარი წარმოადგენს წინა პერიოდის ხარჯს . აღნიშნული გამოწვეულია გამყიდველი/მომსახურე ორგანიზაციის მხრიდან ა/ფაქტურების დაგვიანებით გამოწერით .



ბ. ლომიძე